სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის ტექნოლოგია“

მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 71-100.

მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს შემოქმედებითი ტური სპეციალობაში და საერთო სამაგისტრო გამოცდა.

კონსერვატორიის შემოქმედებითი ტური გულისხმობს:

ა) აპლიკანტის შემოქმედებითი პროექტის წერილობითი აღწერის (ქართულ ენაზე შესრულებული ელ. ფაილის/ფოლდერის სახით) და განვლილი შემოქმედებითი აქტივობების პორტფოლიოს წარდგენას (ელ.ფაილის / ფოლდერის სახით);

ბ) ინგლისურენოვან გასაუბრებას პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რა დროსაც აპლიკანტი უზრუნველყოფს პროექტის პრეზენტაციას და კომისიის წევრების კითხვებზე პასუხს.